ერთჯერადი მომსახურების ხელშეკრულება №:NA12026

ქ.თბილისი **18.03.2019**

ერთი მხრივ, ააიპ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, (ს.კ. 204420545) (შემდგომში ,,შემსრულებელი“) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის, ლაშა ლაბაძის სახით და მეორე მხრივ, შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი (203829250) (შემდგომში ,,დამკვეთი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი დეკანოსიძის სახით (ორივე მხარე შემდგომში ნახსენებია, როგორც ,,მხარეები“) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია (CPV80500000 სატრეინინგო მომსახურებები, კერძოდ დეტალური CPV805ს0000-პროფესიული ტრეინინგების უზრუნვეყოფა) წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს დამკვეთს სატრეინინგო მომსახურება, (ტრეინინგის თემა: „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტირებული პროგრამა“), შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის “ს”- ქვეპუნქტის შესაბამისად მონეტარული ზღვრების დაცვით.

1.2. ხოლო დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მომსახურების საფასური ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობების შესაბამისად.

1.3. ტრეინინგის დაწყების თარიღი: 26.03.2019 პერიოდი, კვირაში ორი დღე, სამშაბათი-ოთხშაბათი-17:30სთ-დან – 21:30სთ-მდე . ტრეინინგის ხან. ტრეინინგის ხანგრძლივლობა შეადგენს სამთვენახევარს

1.4. ტრენინგის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ა. ბელიაშვილის N106, მესამე სართული, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზი.

1.5. შემსრულებელი უზრუნველყოფს სწავლებაზე თანამშრომლების დასწრების აღრიცხვას და ინფორმაციის დამკვეთისათვის მიწოდებას კურსის განმავლობაში პერიოდულად.

1.6. შემსრულებელი უზრუნველყოფს ტრენინგ კურსის დასრულებისას მსმენელის მიერ გათვალისწინებული ყველა ცოდნისა და უნარის გამოცდის გზით დადასტურების შემდეგ პროგრამის სერტიფიკატის დამკვეთისათვის მიწოდებას, რომელიც ადასტურებს მონაწილეების მიერ აღნიშნული ტრენინგის გავლას.

2. მომსახურების გაწევის წესი

2.1. შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს უშუალოდ დამკვეთს.

2.2. მომსახურების გაწევისას, მისი ყველა ან რომელიმე ვალდებულების მესამე პირზე გადაკისრება შემსრულებელს შეუძლია მხოლოდ დამკვეთის წერილობითი თანხმობით.

2.3. მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს მაღალი ხარისხით.

2.4. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს ერთ მონაწილეზე 1100 (ათას ასი) ლარს.

3.2. მომსახურეობის სრული ღირებულება ერთ მონაწილეზე შეადგენს 1100 (ათას ასი) ლარს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების დაფინანსების წყაროა შემსყიდველის 2019 წლის სახსრები-საკუთარი შემოსავლები

3.4. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით, შემსრულებლის საბანკო რეკვიზიტებზე, ფაქტიურად გაწეული მომსახურები შესაბამისი მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში.

3.5. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებენ შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი"-ს შემდეგი თანამშრომლები: ი.წულია და ზ.მარგიშვილი.

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1 შემსრულებელი ვალდებულია:

4.1.1 შეასრულოს მომსახურება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, სრული მოცულობით ამ ხელშეკრულების გათვალისწინებულ ვადაში.

4.1.2 დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს, თუ მისგან დამოუკიდებელი რაიმე მიზეზები და გარემოებები საფრთხეს უქმნის ან შეუქმნის მის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს განხორციელებას.

4.1.3 გასწიოს მომსახურება მაღალი ხარისხით, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.

4.2 დამკვეთი ვალდებულია:

4.2.1 არ განახორციელოს ქმედება, რაც ხელს შეუშლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას.

4.2.2 გადაიხადოს მომსახურების საფასური ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით;

4.2.3 დროულად მიაწოდოს შემსრულებელს ყველა ინფორმაცია, მასალა, ნივთები, რაც აუცილებელია მომსახურების სათანადო დროში და ხარისხით შესრულებისათვის.

4.3 დამკვეთს უფლება აქვს:

4.3.1 ნებისმიერ დროს შეამოწმოს „შემსრულებლის" მიერ შესასრულებელი სამუშაოს მსვლელობა და ხარისხი, „შემსრულებლის"საქმიანობაში ჩარევის გარეშე.

4.3.2 მოსთხოვოს შემსრულებელს მომსახურების გაწევისას აღმოჩენილი ნაკლის გამოსწორება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე:ქ. თბილისი, ა. ბელიაშვილის N106

5.2 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასა და ხელმოწერაზე პასუხიმგებელი პირია: თ.ბეიტრიშვილი

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ხელშეკრულების დამრღვევმა მხარემ უნდა აუნაზღაუროს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი.

7. დავა

7.1 მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

8.2 ხელმოწერის დღედ ითვლება წინამდებარე ხელშეკრულების პირველ გვერდზე, მარჯვენა ზედა კუთხეში აღნიშნული თარიღი.

8.3 ხელშერკულების შეწყვეტა დაუყოვნებლივ შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით თუ:

8.3.1 მეორე მხარე უხეშად ან არაერთგზის არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

8.3.2 შეიცვალა გარემოებები რომლებიც ამ ხელშეკრულების დადებისას იყო და მხარეები შეცვლილ ვიადებში დადებდნენ ხელშეკრულებას სხვა პირობებით ან არ დადებდნენ მას;

8.4 ხელშეკრულების შეწყვეტა ვადამდე შესაძლებელია მხარეთა შორის ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8.5 შემსრულებლის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთის მიერ წინასწარ გადახდილი თანხა დაუბრუნოს დამკვეთს მის საბანკო რეკვიზიტებზე უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

9. მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი:
ააიპ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია,
ს.კ.: **204420545**
იურიდიული მისამართი: ი. ნიკოლაძის 5ა
ფაქტობრივი მისამართი: ნ. ბოხუას 4
საბანკო რეკვიზიტები:
სს"ლიბერთი ბანკი"
LBRTGE22 № GE50LB011 512 217 700 9000

დამკვეთი:
შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი
ს.კ. 203829250
იურიდიული მისამართი:
ბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ფუნიკულიორის ზედა პლატო (ოქროყანა)

ხელმომწერი პირი: ლაშა ლაბაძე

ხელმომწერი პირი: გიორგი დეკანოსიძე

TV-Radio Center of Georgia LLC

Digitally signed by TV-Radio Center of Georgia LLC
Date: 2019.03.19 10:00:52 +04'00'